

დამტკიცებულია ა(ა)იპ "მოსწავლე ახალგაზრდობის

ეროვნული სასახლის დირექტორის

2016 წლის 1 იანვარს N 71 ბრძანებით

ა(ა)იპ "მოსწავლე -ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე

ინსცენირებული ზღაპრების საქალაქო კონკურსი

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

იდეის ავტორი -ციალა სალარაძე

შემეცნებით თამაშობათა განყოფილების ხელმძღვანელი/პედაგოგი)

მეთოდისტი - მარინე გელაშვილი

თბილისი 2016 წელი

ა(ა)იპ "მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე" ატარებს ინსცენირებული ზღაპრების საქალაქო კონკურსს.

კონკურსში მონაწილეობენ თბილისის სკოლების I-IV კლასების მოსწავლეები.

საკონკურსოდ წარმოდგენილი უნდა იყოს, როგორც ქართული, ასევე მსოფლიოს ხალხთა ზღაპრებისა და იგავ-არაკების ინსცენირებები.

კონკურსის მიზანი:

- მოსწავლეთა თვითშემოქმედებისა და ფანტაზიის განვითარება. ინიციატივის სტიმულირება, აუდიტორიის წინაშე გამოსვლის პირველადი უნარ-ჩვევების შექმნა.

კონკურსის ჩატარების ეტაპები:

- ინსცენირებული ზღაპრების, საქალაქო კონკურსი ტარდება სამ ტურად: სასკოლო, რაიონული და საქალაქო.
- კონკურსში მონაწილეობის მისაღებად სკოლებმა განაცხადი უნდა შეიტანონ სასახლის შემეცნებით სტუდიაში 1 მარტამდე. კონკურსის სასკოლო და რაიონული ტურები ტარდება წინასწარ შედგენილი განრიგის მიხედვით. საქალაქო ტურში გადასულმა სკოლებმა დასკვნითი ტურისათვის უნდა წარმოადგინონ ინსცენირების ამსახველი რამოდენიმე ფოტო და დისკზე ჩაწერილი ინსცენირება.
- კონკურსის დასკვნითი ტური ტარდება სასახლის თეატრალურ დარბაზში აპრილის ბოლოს. საკონკურსოდ წარმოდგენილი ზღაპრები სასურველია იყოს კოსტუმირებული და მუსიკალურად გაფორმებული, ინსცენირების ხანგრძლივობა კი არ უნდა აღემატებოდეს 7-10 წუთს.
- კონკურსის შედეგებს შეაჯამებს ჟიური.
- გამარჯვებული სკოლები დაჯილდოვდებიან სასახლის სიგელებით.